რუსეთის ინტერვენცია აფხაზეთში ეთნოტერიტორიული კონფლიქტის ფონზე (1992-1993)

ლაშა ჩანტლაძე

სამაგისტრო ნაშრომი

ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სამაგისტრო ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერება (საერთაშორისო ურთიერთობები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირაკლი ლაითაძე,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორი
თანახელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი,
პოლიტიკის მეცნიერების ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020 წელი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანს
ბატონ გიორგი გვალიას

ამავე ფაკულტეტის მაგისტრანტის
ლაშა ჩანტლაძისაგან

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებელად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლაშა ჩანტლაძე 09.07.2020

აბსტრაქტი

„ნაშრომში განხილულია ეთნოტერიტორიული კონფლიქტი აფხაზეთში, რუსული ინტერვენციის ფონზე (1992-1993). გამოკვლეულია დაპირისპირების გამომწვევი მიზეზები, მიმდინარეობა და შედეგი. ეთნიკურ ფაქტორზე ყურადღების გამახვილება ქართველებისა და აფხაზების დაპირისპირების განხილვისას მნიშვნელოვანია, მაგრამ არა გადამწყვეტი. არსებული საკითხის შესახებ ინფორმაციული დეფიციტის აღმოსაფხვრელად და სრული სურათის აღსაქმელად კვლევაში გაანალიზდა რუსეთის სამხედრო ინტერვენციის ფაქტები, როგორც პირდაპირი და უხეში ჩარევა დამოუკიდებელი ქვეყნის საშინაო საქმეში. მუშაობის პროცესი დაკავშირებული იყო იმ ფაქტორების ახსნაზე, თუ რატომ ეხმარებოდა რუსეთი აფხაზ სეპარიტისტებს და რამდენად განაპირობა აღნიშნულმა დახმარებამ ომის შედეგი.

კვლევის პროცესში დამუშავდა საკითხის ირგვლივ არსებული სამეცნიერო-კვლევითი სტატიები, ასევე დაპირისპირებული მხარეების ლიდერთა განცხადებები და ოფიციალური დოკუმენტები. მოცემული ნაშრომი მეთოდოლოგიურად თვისებრივი კვლევის კატეგორიას განეკუთვნება, ხოლო საბაზისო მიდგომებად გამოყენებულია კონტენტ-ანალიზის, დისკურს-ანალიზის, პროცესის მიდევნებისა და ჩაღრმავებული ინტერვიუები. რაც შეეხება თეორიულ ჭრილს, ძირითადი მსჯელობა აიგო ჯონ მერშაიმერის თავდასხმითი რეალიზმისა და მაიკლ იგნატიევის ეთნიკური ომის, "communities of fear" (შიშით შეკრული საზოგადოება) მიხედვით.

ჩატარებული კვლევის შედეგად უფრო ნათლად წარმოჩინდა აფხაზეთის ომის ისტორიული მიზეზები, გამოიკვეთა რუსული ინტერვენციის მთელი რიგი ფაქტები და

გაანალიზდა ქართული მხარის დამარცხების ის ფაქტორები, რომელმაც ომის შედეგზე გადამწყვეტი გავლენა იქონია.“[1]

ძირითადი საძიებო სიტყვები: ეთნოტერიტორიული კონფლიქტი აფხაზეთში, სამოქალაქო ომი, რუსული ინტერვენცია.

Abstract

The paper examines ethno-teritorial conflict in Abkhazia in the background of Russian intervention (1992-1993). It is important but not crucial to focus on the ethnic factor when we are discussing the confrontation between Georgians and Abkhazians. The study analyzed the facts of Russia's Military intervention as a direct interference in the domestic affairs of an independent country, in order to eliminate the luck of information on the current issue and to grasp the full picture. The work process was related to the explanation of the factors why Russia was helping the Abkhaz separatists and what extent this assistance led to the outcome of the war.

In the course of the research, scientific-research articles on the issue were developed, as well as the statements and official documents of the leaders of the opposing states. This papes falls into the category of qualitive methodology research, the basic approaches are content-analysis, discourse analysis, process tracing and interviews. As for the theoretical paradigm, main theories was the Offensive Realism of John Mershaimer and Michaes Ignatiev's Ethnic War, ("Communities of fear ")

[1] აღნიშნული აბსტრაქტი მოყვანილია ჩემს მიერ შესრულებული ნაშრომიდან, რომელიც შევასრულე აკადემიურ წერის კურსის გავლის დროს

The study provided a clear picture of the historical causes of the war in Abkhazia, a number of facts of Russian intervention, and the factors that led to the defeat of the Georgian side, which had a decisive effect on the outcome of the war.

Key words: Ethno-teritorial war in Abkhazia ,Civil war, Russian intervention

სარჩევი

აბსტრაქტი 3

Abstract 4

შესავალი (საკითხის აქტუალობა, საკვლევი კითხვა და ჰიპოთეზა) 7

ლიტერატურის მიმოხილვა 9

თეორიული მსჯელობა 13

მეთოდოლოგია 15

1.პოლიტიკური მდგომარეობა საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ 16

1.1. აფხაზური სეპარატიზმი 17

1.2. კონსენსუსის ცდები 20

1.3 სამხედრო გადატრიალების მცდელობა მოსკოვში 22

1.4 სამოქალაქო ომის დაწყება საქართველოში 23

1.5. შევარდნაძის გამოჩენა და ვითარების სტაბილიზაციის ცდები 25

2. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მიზეზები 26

2.1. რუსეთის მიზნები 28

2.2. რატომ იწყება ომი აფხაზეთში ? 31

3. სამხედრო მოქმედებების ინიცირება 34